**ხელშეკრულება #I-1/107**

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

(გამარტივებული შესყიდვა

**ქ. თბილისი** **18 დეკემბერი 2020**

ერთი მხრივ, სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“, (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის, აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი ღვალაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ბრიკო კავკასუსი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა დოლიძის სახით, (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბიუჯეტო სახსრებიდან, CPV 39200000-ავეჯის აქსესუარები (საფუძველი: ტექნიკური სამსახურის განყოფილების უფროსის ნოდარ გოგოლაშვილის 2020 წლის 9 დეკემბრის # 3202 მოხსენებითი ბარათი).

**2 სახელშეკრულების ობიექტი და ღირებულება**

1.2. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის საჭირო შემდეგი საქნლის შეძენა

| # | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთ. ფასი დღგ-ს ჩათვლით | სულ თანხა დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქოთანი FLORIO 60 თიხისფერი | ცალი | 3 | 85.85 | 257.55 |
| 2 | ქოთანი ROMEO 50 თეთრი | ცალი | 3 | 78.62 | 235.88 |

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 493.43( ოთხასოთხმოცდაცამეტი ლარი და 43 თეთრი ) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

**საქონლის შესყიდვის ვადა და ადგილი**

1.3. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა: 2020 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით

1.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი გუდიაშვილის # 1

**2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

2.1. შემოწმებით თუ საქონელი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული შტამპის ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

2.2. საქონელი ჩაითვლება სრულად შესყიდულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**3. ანგარიშსწორების პირობები**

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედნადებისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

**4. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი**

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;
6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის შესახებ.
4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1. გადაიხადოს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;
6.2.2. შესყიდული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;
6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.
4.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1. მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;
6.4.2. მიწოდებული საქონლის ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;
6.4.3. მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
6.4.4. წინასწარ აცნობოს შემსყიდველს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;
6.4.5. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას შეიძლება მიადგეს უფლებრივად და ნივთობრივად ნაკლის მქონე საქონლის მიწოდების გამო.
5.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების, ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.01% ყოველ გადაცილებულ დღეზე.
5.3. პირგასამტეხლოს გადახდა ხორციელდება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი საქონლის ღირებულებიდან შესაბამისი თანხის გამოქვითვის საშუალებით.
5.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების ვალდებულებისაგან.
5.5. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვის მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

## 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ საქონლის მიწოდებისას განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
6.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდატების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
6.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ნოდარ გოგოლაშვილი - ტექნიკური სამსახურის განყოფილების უფროსი.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

9.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

9.3. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მიწოდებული საქონელის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

## 10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

## 11. დასკვნითი დებულებანი

11.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მხარეების მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონდებლობით.

11.3. მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.4. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.

11.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“ | შპს ,ბრიკო კავკასუსი, “ |
| საიდენტ: 204468664 | მის: ქ. თბილისი მარშალ გელოვანის # 8 |
| მის: თბილისი, რუსთაველის გამზ. #3 | ტელ: 2001111 |
| ტელ: 298 21 35 | საიდენტ: 405067494 |
| სახელმწიფო ხაზინა | სს „თი ბი სი“ |
| კოდი: TRESGE22 | კოდი: TBCBGE22 |
| ა/ა GE24NB0330100200165022 | ა/ა GE26TB7009036150100002 |

ირაკლი ღვალაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე
აღმასრულებელი დირექტორი

LEPL Georgian National Museum
Digitally signed by LEPL Georgian National Museum
Date: 2020.12.18 15:16:41 +04'00'

მამუკა დოლიძე
დირექტორი

Brico Caucasus LLC
Digitally signed by Brico Caucasus LLC
Date: 2020.12.24 16:41:29 +04'00'

**ხელწერილი**

**ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ**

**ქ. თბილისი** **18 დეკემბერი 2020წ.**

ქვემოთ ხელისმომწერნი, ხელშეკრულების #I-1/107 18.12.2020წ. გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ხელშეკრულების ინსპექტირების წევრები ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გენერალური დირექტორის მოადგილე,
აღმასრულებელი დირექტორი
ირაკლი ღვალაძე

ტექნიკური სამსახურის განყოფილების უფროსი
ნოდარ გოგოლაშვილი

LEPL Georgian National Museum

Digitally signed by LEPL Georgian National Museum
Date: 2020.12.18 15:16:57 +04'00'